

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს STRONG DEVELOPMENT ს 5 4 4 5 5 2 7 1 3 6 , შეზღუდული პა-
სუბსიმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის
სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26-02-2018 წელს.
საწარმოს იურიდიული და ფაქტიური მისამართია ბათუმი ჟიული შარტავას
გამზირი 30. საწარმოს დამფუძნებლებია საქართველოს მოქალაქე გურამ ზოსიძე პ /
5 610061002018054 - 50 პროცენტიან წილის მფლობელი და გიორგი ზოსიძე
პ/ 5 61002018484. 50- პროცენტიანი წილის მფლობელ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა -
ფართების რეალიზაცია. და საიჯარო მომსახურება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს
საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს.
შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი
ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი
იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე
სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2022 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს იურიდიული და ფიზიკური პირებიდან აღებული სესხები, 2022 წლის საანგარიშო პერიოდში და

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული. რომელიც მომდინარე წელში არ ირიცხება

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-5 %
✓ მანქანა დანადგარები	- 20%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	- 20%
✓	
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-15%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი -15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:



გზოსიძე

ბუღალტერი:

ნ. ჭაჭავაძე

ი. მაკარაძე

ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2658212	1194292	67916	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	846932	4892	3780	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული მარაგები	0	0	0	
მზა პროდუქცია	13257300	6994528	2985992	
სხვა	0	0	0	
საინვესტიციო ქონება	13257300	6994528	2985992	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0	
ძირითადი საშუალებები	1638268	1717872	1888357	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტ	0	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	18400712	9911584	4946045	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	19764340	1080402	818670	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	2050	2050	
საგადასახადო ვალდებულებები	271954	135020	29238	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	143270	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0	
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	7544767	2161034	
სულ ვალდებულებები	20036294	8762239	3154262	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალ	520000	2400000	2116711	
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი	-2155582	-1250655	-324928	
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1635582	1149345	1791783	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18400712	9911584	4946045	
სულ მოკლევადიანი აქტივები	16762444	8193712	3057688	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20036294	9911584	4946045	

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	19766	42755
საქონლის გაყიდვიდან	4512	27501
მომსახურების გაწევიდან	15254	15254
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	19766	42755
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-100416	-98624
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-824277	-418909
სულ საოპერაციო ხარჯები	-924693	-517533
საოპერაციო მოგება	-904927	-474778
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	32341
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-904927	-442437
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-904927	-442437
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური რესურსების) განხორციელების (მათ შორის, ბიოლოგიური რესურსების) შედეგად	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების მიერ)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-904927	-442437
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1149345	1791783
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალიზაცია')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდები)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-442437
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-1880000	242436
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1635582	1149345

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო სა	13017885	7493192
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიცი	-11553965	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმი	0	-6366816
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1463920	1126376
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებ	1194292	67916
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებ	2658212	1194292